წ. I 1915 წ. ხუთშაბათი 23 აპრილი

სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 64 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 64

ეროვნული ბიბლიოთეკა

"სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედ,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნია ორსავ თვალზედ,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სამშობლო"

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:
ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".
ვსთხოვთ თმში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

18 აპრილს აბასთუმანში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გამოესალმა წუთისოფელს

მიტუშა ერისთავი

რასაც უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები სერგო და პაშა ერისთავები, მაშიდები განსვენებულისა: ივლინკა, ანეტა და პისტია, ბიძები: თ-ნი არჩილი და ევსელანი აბაშიძეები, ექიმი კოწია, აგაბო და კლემენტი ერისთავები, ბებია—ალექსანდრა იესეს ასული ერისთავისა, ბიცოლები: კნ. ალექსანდრა და იულია აბაშიძისა, პელაგია გლახუას ასული ერისთავისა, სიძეები: პეტრე ალექსის ძე ყორყოლაძე და ალექსანდრე მიხეილის ძე გრიგოლია. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, ბალახვანის ქუჩა.

ქალაქის ბაღში

ხუთშაბათს, 23 აპრილს, ქართველ მსახიობთა ამხანაგობა გამართავს

საჯარო სეირნობას

ჯერ არ ნახულ გასართობებით და სანახაობით. შესვლის ფასი 30 კაპ. მოწაფეთათვის და ბავშვებისათვის 15 კაპ.
დასაწყისი ნაშუადღევის 4 საათზე, დაუკრავს მუსიკა, ზურნა და საზანდარი.
სეირნობის დიასახლისი ქ-ნი ვ. ზ. მაჭავარიანისა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების

გამგეობა

ამით აუწყებს განყოფილების წევრთ, რომ 26 აპრილისათვის დანიშნული წევრთა წლიური კრება სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო

გადაიდვა

ამავ წლის 24 მაისისათვის.

ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ ბაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხალხში. ამისათვის

ხ. ხრისტოდულიდის

გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ თესლის მეადგილენი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი", აწერია „ს/ს. გოკიელოვის შ—ბი", შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტომსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი" რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის" და ს/ს გოკიელოვის შ—ბის", აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სამთოდეს აუცილებლათ უურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოაოდებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

თესლის გაყიდვა გაელდება.

დაიბეჭდა და იყიდება ძ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

„НОВОЕ СЛОВО"

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. ფასი ყდით 2 აბაზი.

ელექტრო-თეატრი „რადიუმი".

ხუთშაბათიდან, 23 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი, კინემატოგრაფიის შედევრი!

ომი და მშვიდობიანობა

(ნატაშა როსტოვისა).

ხუთ ნაწილათ ლ. ტოლსტოის ცნობილი რომანიდან. უმთავრეს როლებს ასრულებენ იმპერატორის სცენის არტისტები: ვ. კარალლი, მ. რეიზენი, ნ. რუტკოვსკაია, ვ. პოლონსკი. მოსკოვის თეატრის არტისტები: ი. მოზჟუხინი, პ. ლოპუხინი და ა. ხერუვიმოვი. სურათი დიდგმულია პ. ჩარდინინის რეჟისორობით.

ფასები ცოტათი მომატებულია

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

ძ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ — თ.

ექიმი ი. ჩარეძოვი ქალაქის საავთმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტროლისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

კბილის ექიმები

მენაღარიშვილი & ტრუფანოვა.

დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

კაბინეთი მასსაჟის და საქმიანი გარჯიშობისა. მასსაჟისტკა მ. ტ. ბალანჩივაძისა ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება, აქვს შოუბიდი ოქთაძის ვანა, რომელიც სპობს სახის ყოველ-გვარ ავათმყოფობას: სიწითლეს, მუწუკებს, ნაკეტებს, ჭორფლს და ნაყვავილარ დასხიჩრებულ სახეს, ამასთანავე გარჩენ სახის სხვა და სხვა ავათმყოფობას. აბრეთვე ვუცრი ულვაშებს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და სალამოს 4—6 სსათამდი. რჩევა და დარიგება 10 შ. მორჩენის ფასი მორიგებით. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

ბეგია მ. მ. ქოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თეოდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

გამოცდილ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის, და ყველა საგანში. ინყინრის ქუჩის კადასხვეკი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის სახლის. თ. ჯ.

ომი

პეტროგრადის დან. სპეციალურ-ტელეგრაფ.

პეტროგრადი. 21 აპრილი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 19 და 20-ს მარტს ჭორობის და ოლთისის რაიონში მცირე შეტაკებები ხდებოდა. ხოი-დილმანდის რაიონში სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჩვენ ენერგიული იერიში მივიტანეთ ხალილბეის კორპუსის წინააღმდეგ და სასტიკათ დავამარცხეთ. რამდენათ დიდია ეს დამარცხება იქიდანა სჩანს, რომ ბრძოლის ველზე ოსმალოებმა დასტოვეს 3500 მოკლული. აქედან ფრონტის მარტო 800 ნაბიჯის სივრცეზე დავითვალეთ 900 მოკლული. დილმანში ჩვენ ვიხელეთეთ ოსმალოთა გოსპიტალი. დამარცხებული მტრის დევნა გრძელდება.

ვაშინგტონი. გერმანიის საელჩო აფრთხილებს ევროპაში მიმავალ მოგზაურებს ნუ აირჩევენ ფრანგებისა და ინგლისელების გემებს. ამ გაფრთხილებამ მთავრობის წრეებში დიდი მითქმა მოთქმა გამოიწვია. ასეთი გაფრთხილება რომ კერძო პირს გამოეთქვა, ის სისხლის სამართლის კანონის მიხედვით დაისჯებოდა. ელჩი თუმცა ხელუხლებლობის კანონით სარგებლობს, მაგრამ ვალდებულია პატივით მოეპყრას იმ ქვეყნის კანონებს, სადაც ის მოქმედებს. გემ „ლუზიტანია"-ზე მყოფმა მგზავრებმა გუშინ გაფრთხილება მიიღეს, რომ გემი ჩაძირულ იქნება. მიუხედავათ ამისა არცერთს მათგანს მოგზაურობა არ შეუწყვეტია.

პარიზი. 20 აპრილი. საღამოს ოფიციალური ცნობა. გასული დღის განმავლობაში არაფერი შესამჩნევი ცვლილება მომხდარა, გარდა ორი იერიშისა, რომელიც მოიტანეს გერმანელებმა—ერთი ინგლისის ჯარის წინააღმდეგ იპრის ჩრდილოეთით და მეორეც ფრანგების წინააღმდეგ ლებრეტის ტყეში.

ბუქარესტი. 20 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან, რომ რუსეთის ჰაეროპლანი კონსტანტინეპოლის თავზე დაფრინავდა და ყუმბარები ჩამოყარაო. „გებენი" ბოსფორიდან გამოვიდა.

პეტროგრადი. 20 აპრილი. ავტორიტეტული წყაროდან იუწყებიან, რომ 19 აპრილს ჩვენი ფლოტი რამდენსამე საათის განმავლობაში ენერგიულათ უშენდა ზარბაზნებს ბოსფორის სიმაგრეებს ფენერ-კარიჯში ფილებურჯუს, ბუიუკს, ლიმანს, ზედა და ქვემო კავაკის და აგრეთვე კილია-ელმაზს. ოსმალეთის ბატარეია უნაყოფოთ უპასუხებდა ზარბაზნების სროლით; ელმაზში დიდი აფეთქება მოხდა, რამაც ცეცხლი გამოიწვია. ჩვენი გემებიდან სროლა მარჯვეთა და მიზანში ამოღებით სწარმოებდა. ჩვენი გემების მიახლოვებისთანავე, ოსმალეთის გემები მიიმალენ. ყურეში ერთმა ჩვენმა კრეისერმა შენიშნა დატვირთული ორთქლმავალი, რომლის კამანდაც ნაპირზე შლიუბკებში მიიმალა კრეისერის მისვლამდი. ამას გარდა დათვალიერებულ იქნა კილმლი, ზაგულდაკი, რეკლი და ყურის სხვა ნაპირები ბოსფორამდი, მაგრამ სხვა გემები არ შეგვინიშნავს, გარდა ერთი იალქნიანი გემისა, სპარსეთის დროშით, რომელი გემიც ჩვენ დავლუბეთ. ბულგარეთის ნაპირებთან შევნიშნეთ აგრეთვე მეორე იალქნიანი გემი, რომლის კამანდაც ჩვენ წამოვიყვანეთ.

ლონდონი. საადმირალო იუწყება: ჩრდილოეთ ზღვაში ბრძოლის დროს, შაბათს, გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ინგლისის კონტრნაღმოსანი „რეკრუიტი". ინგლისის კონტრნაღმოსანთა დივიზიამ ჩასძირა გერმანიის ორი ნაღმოსანი.

პარიზი. ჰავასი იტყობინება: 17 ამ თვის ოფიციალურ უწყებაში ნაჩვენები იყო, რომ პრესის ასოციაციის წარმომადგენელმა დაათვალიერა ფრანგების პოზიცია გარტმანვაილერკოპფის სიმაღლეზე. გერმანელები იუწყებოდენ, რომ ეს პოზიცია მათ ხელშია. ამერიკელი ჟურნალისტი კი დარწმუნდა წინააღმდეგში. ენკი სწერს დაწვრილებით იმ ცხარე ბრძოლის შესახებ, რომელიც ჩვენდა სასარგებლოთ დასრულდა. მტერი გავდევნეთ სამასი მეტრის მანძილზე და შემდეგ ჩვენზე იერიში აღარ მოუტანია.

პარიზი. 20 აპრილი. ოფიციალური ცნობა. გერმანელები ცდილობდენ ჩვენზე ორჯერ მოეტანათ იერიში და ორივეჯერ მახრჩობელა გაზს ხმარობდენ. პირველათ იერიში მოიტანეს იპრის ჩრდილოეთით სენჯულიენთან, მეორეთ—იპრის სამხრეთით „60 მეტრის" სიმაღლის მახლობლათ. ორივე იერიშები მოგერეგულ იქნა. დანარჩენ ადგილებზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

ლონდონი. 20 აპრილი. ფერდმარშალი ფრენჩი იუწყება: შაბათ საღამოს გერმანელებმა იერიში მოიტანეს „60" მეტ სიმაღლეზე და სენჯულიენის მახლობლათ. ორივე იერიში მოვიგერიეთ. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს. გუშინ ინგლისელთა ბანაკში ჩამოვარდა გერმანიის ჰაეროპლანი. შაბათს ჩრდილო ზღვაში გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ნორვეგიის გემი „ამერიკანი" 6400 ტ. წყალწყვისა. კვირა სადამოს გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა ტრალერი „სენრეი". კომანდა გადარჩა.

ლონდონი. 20 აპრილი. იპოვ-ჩიდან

დღეს რა მოხდა.

ხოი-ფილმანის რაიონში ოსმალოთა ერთი კორპუსი სასტიკათ დამარცხდა.

ჩრდილო ზღვაში მოხდა გერმანელთა და ინგლისელთა ფლოტის ბრძოლა.

ინგლისელებს დაეღუპა ერთი კონტრნაღმოსანი, გერმანელებს კი—ორი ნაღმოსანი.

ფლანდრიაში გერმანელებმა იერიში მიიტანეს 60 მეტრ სიმაღლისა და სენჯულიენის მახლობლათ, ორივე იერიში მოგერებულ იქნა და გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს.

მოკავშირეთა გემებმა სმირნის ფორტებს ყუმბარები დაუშინეს და სჩანს დესანჯიც გადაუსხამთ. გალიპოლში ოსმალონი უკან იხევენ.

ოტყობინებიან: ინგლისის კონტრნაღმოსან „რეკრუტს“ დაედევნა გერმანიის წყალქვეშა ნავი. „რეკრუტს“ მიეშველა ტრალერი „დეზი“ და 30 კაცი გადაარჩინა. მაშინ წყალქვეშა ნავმა „დეზსაც“ ნაღმი ესროლა, მაგრამ არ მოხვდა. „დეზმა“ ნავი ჩამოუშვა, რომელშიაც გადარჩენილები ისხდენ. წყალქვეშა ნავმა ამასაც ნაღმი ესროლა. სამი ნავში მჯდომთაგანი დაიჭრა. ამ დროს მოვიდა ინგლისელთა კონტრნაღმოსანთა დივიზიაც. ორი კონტრნაღმოსანი დაედევნა გერმანელთა ნაღმოსნებს, დანარჩენები კი წყალქვეშა ნავის ძებნას შეუდგენ. გერმანელთა ნაღმოსნები მალე მოსპეს. ტრალერი „ბარბადოსი“ იარმუტში მოვიდა. ის დაზიანებულია. კაპიტანი დაჭრილია. ამასაც წყალქვეშა ნავი დაედევნებია ბელგიის ნაპირებთან. ტრალერზე იმყოფება მხოლოდ ერთი მატროსი, რომელიც „კოლომბიაზე“ მსახურებდა და 17 კაცისაგან ეს ერთი გადარჩა. „ბარბადოსზე“ იმყოფება აგრეთვე ერთი გადარჩენილი გერმანელი მატროსი. გერმანელთა წყალქვეშა ნავი დაედევნა ფრანგების გემ „ეროპს“. კომანდამ ძლივს მოასწრო ნავში ჩასხდომა. წყალქვეშა ნავმა ნაღმი ესროლა „ეროპს“, მაგრამ ვერ მოახვდრა. ამ დროს ლოვესტფორტიდან მოვიდა ტრალერი და ნავიდან მატროსები აიყვანა. წყალქვეშა ნავმა ამის შემდეგ „ეროპი“ ჩასძირა.

ათინა. 20 აპრილი. გუშინ მოკავშირეთა ოთხმა გემმა ყუმბარები დაუშინა სმირნის ფორტებს. ოსმალონი ენერგიულათ უპასუხებდენ. ხშებია, მოკავშირეებმა დესანტის გადმოსხმა დაიწყეს სმირნის ყურის რამდენიმე ადგილში. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ოსმალონი მოკავშირეთა მედგარი იერიშების გამო უკან იხევენ. მალტოსი იწვის.

ლონდონი. 21 აპრილი. დრამენიდან ლონდონში მიმავალი ნორვეგიის გემი „ბალდვინი“, ხის მასალით დაჭვირთული, გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა გუშინ დილას ჩრდილო ზღვაში. კომანდასნება მისცეს ნავებში ჩამსხდარიყვენ. ისინი მეორე გემმა გადაარჩინა.

სოლუნი. 20 აპრილი. კონსტანტინოპოლიდან იუწყებიან, რომ ადგილობრივი გარნიზონის მეორე დივიზია გაიგზავნა დარდანელში. ადრიანოპოლის არმიას ებრძანა გააძლიეროს გალიპოლის ნახევარკუნძულზე მომქმედი ჯარი.

კეპტაუნი. 19 აპრილი. გენერალ ბოტას ჯარმა დაიკავა ოჯომბილი; დატყვევებულია 28 გერმანელი ჯარისკაცი, მათ შორის ერთი აფიცრი. სამხრეთ აფრიკის ჯარმა დაკარგა სამი ჯარისკაცი და ორიც დაიჭრა.

პეტროგრადი. შავლის რაიონში დიდი შეტაკება არ ყოფილა. მტრის რაზმმა აქ რამდენიმეთ წინ წაიწია აღმოსავლეთით და ჩვენ მოწინავე რაზმთან შეტაკება მოუხდა. ნემანის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება და მიუხედავათ მტრის სასტიკი წინააღმდეგობისა ჩვენ წინ მივიწევით. ჩარნუხის მახლობლათ მედგარი ბრძოლის შემდეგ გერმანელთა სანგრების პირველი ხაზი დავიკავეთ; გოსპოდსკი დვორთან ჩვენმა ერთმა პოლკმა აიღო მტრის მავთულიანი ხაზი და ხელთ იგდო ცყვიისმტყორცნელი და რამდენიმე ტყვე. ოსოვეცის რაიონში გერმანელთა იერიშები ყველგან მოვიგერიეთ. გერმანელებს დიდი ზარალი მივაყენეთ. მტერი ესროდა ციხის ფორტებს დიდი კალიბრის იარაღებიდან, მაგრამ ჩვენი არტილერიის ცეცხლით ჩაჩუმებულ იქნა. ვისლის მარჯვენა ნაპირის რაიონში მთელ ფრონტზე არტილერიის ბრძოლა იყო. პასასა და შკვას შუა გერმანელები რამდენჯერმე შეეცადენ იერიში მოეტანათ, მაგრამ დიდის ზიანით უკუქცეულ იქნენ, კონოტოპის მახლობლათ ჩვენი არტილერია მარჯვეთ ესროდა მტრის ბატარეიებს. გერმანელთა მფრინავებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდეს ჩვენ ბანაკში, მაგრამ არავითარი ზიანი არ მოუყენებიათ. ერთი ჰაეროპლანი დაიმტვრა და გერმანელთა ბანაკის წინ ჩამოვარდა. ვისლის მარცხენა ნაპირის რაიონში შეტაკება არ მომხდარა. ვოლია-შიდლოვსკაიას რაიონში ჩვენმა ყუმბარებმა ააფეთქეს მტრის ნაღმების საწყობი. ჩვენ ეს ადგილი დავიჭირეთ და რამდენიმე გერმანელი დავატყვევეთ.

პეტროგრადი. უმაღლესი უქაზით ფინანსთა მინისტრს ებრძანა გამოუშვას 200 მილიონი მანეთის 5 პროც. ქაღალდები სახელმწიფო ხაზინის საზღვარგარეთის თანხის გასაძლიერებლათ

ბუქარესტი. გალაცში მოხდა რუმინიის კულტურული ლიგათა მიტინგი. მონაწილეობდენ ბუქარესტიდან მოსული საზოგადო მოღვაწენი, მათ შორის ტაკე იონესკუც. ორატორთა აზრით გერმანიის გამარჯვება ცივილიზაციის დასასრულის მომასწავებელი იქნება; რუმინია უნდა მიემხროს საფრანგეთს, რომლისგან ლათინთა ერებს ბედნიერება მოელისო. მიტინგმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს ისეთ პოლიტიკას, რომელიც ხელს შეუწყობს ტრანსილვანიის დაჩაგრულ მცხოვრებთა განთავისუფლებას.

სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.)

ტოკიო. ჩინეთის პასუხი დიპლომატიურათ არის შედგენილი. იაპონიის პრესა მოითხოვს დაუყონებლივ წარედგინოს ჩინეთს ულტიმატუმი.

პეტროგრადი. სათბობ მასალის გაძვირების გამო მიწათმოქმედების მთავარმა გამგეობამ გადასწყვიტა დაუყონებლივ მიიღოს ზომები ტორფის წარმოების გასაფართოებლათ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

დახმარება საზღვარგარეთ მყოფ რუსებს.

გარეშე საქმეთა მინისტრმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა მინისტრთა საბჭოს იმის შესახებ, რომ საზღვარ-გარეთ მყოფ რუსებს სახელმწიფო ხაზინიდან 300 ათასი მანეთი მიეცეს ერთდროულ დახმარებათ.

ღვინის და ლუდის გაყიდვის საკითხი.

ახლო მომავალში მინისტრთა საბჭო განიხილავს ღვინისა და ლუდის გაყიდვის საკითხს. კაბინეტის ზოგიერთ წევრის აზრით საჭიროა კანონს შემდეგი შენიშვნა გაუკეთდეს: „ქალაქს არ აქვს უფლება მაგარ სასმელთა შორის აკრძალოს გაყიდვა 16^0 ღვინისა და $3^3/_4{}^0$ ლუდისაო“.

შვეიცია ემზადება.

შვეიცის მთავრობამ შეიმუშავა კანონპროექტი სახელმწიფო კომისიის დაარსებისა, რომელსაც დაევალება სახელმწიფოს ეკონომიურათ უზრუნველყოფა მოსალოდნელი ომისთვის. კომისიაში მოჰყვებიან სამოქალაქო და სამხედრო უწყებათა მოხელეებთან ერთად ხალხის წარმომადგენელნიც.

გერმანელები პოლონეთში.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს სიტყვით პეტროკოვში უკვე გაჩაღდა გერმანელების მაღაზია-საწყობები, რომელიც საქონელს ღებულობს ჯერ-ჯერობით ბრესლავიდან. პეტროკოვის მცხოვრებთ აეკრძალათ ლოდძსა და ჩენსტოხოვოში მისვლა-მოსვლა. ციხის კომენდანტის ბრძანებით სასტიკათ აკრძალულია მაღაზიებზე და საზოგადო დაწესებულებებზე რუსული წარწერა. ლოდძის მიდამოებში მიწის ბაღ-ც შემოიღეს—დესეტინა მიწაზე ახდევინებენ 12 მარკას.

იაპონია და ჩინეთი.

ჩინეთის ოფიციოზი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს იაპონიის მოთხოვნილებებს. აღელვება თანდათან ძლიერდება. ყოველდღე იმართება ჯარების აღლუმები.

დარდანელთან.

გალიპოლის ნახევარკუნძულზე მოკავშირეთა ჯარის გადასხმის შესახებ „რუსკია ვედომოსტი“ სწერს: დარდანელის აღება მოითხოვს მთელი სრუტის ნაღმებისაგან განთავისუფლებას. დღეს მოკავშირეთა ხელში ევროპის ნაპირია, და ამ ერთი ნაპირით მთელი სრუტის დაპყრობა შეუძლებელია. საჭიროა სრუტის აზიის ნაპირის აღებაც. მაშინ შესაძლებელი გახდება კონსტანტინეპოლთან ზღვით მისვლა, რაც ბევრათ უფრო ადვილია, ვიდრე ხმელეთით.

ინგლისის ჟურნალისტ ბარტლეტის სიტყვით მოკავშირეთა ფლოტის მდგომარეობა არც ისე მშვენიერია, როგორც ეს ბევრსა ჰგონია: ნაღმებით სავსე ზღვის დიდი სივრცე, ფრთხილად დამალული ბატარეები გაუბიცებისა და ოსმალოთა საგრძნობელი ძალა მოკავშირეთა ფლოტს დიდს დაბრკოლებას უწევს და საქმის სიძნელეზე გვითითებს.

ლატიშელთა სარევოლუციო კომიტეტი.

სამხედრო სასამართლომ ქ. დვინსკში შვიდ-შვიდი წლის კატორღა მიუსაჯა ლატიშელთა სარევოლიუციო კომიტეტის ხუთ წევრს, რომელთაც გაჩხრეკის დროს პარტიულ კრებათა ოქმები და არა ლეგალური ლიტერატურა აღმოაჩნდათ.

შვეიცარიის პოზიცია.

ბერნში მოკავშირეთა საბჭოს საგანგებო თათბირი მოხდა მთავარ სარდლის ვილლის თანადასწრეთ. თათბირმა დაადგინა: რადგანაც შვეიცარიას გერმანიის მხრით არავითარი საფრთხე არ მოელის, საჭირო არ არის სახელმწიფოს მიერ რაიმე სამხედრო ზომების მიღებაო.

„გაზი“—სულთანი.

კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სულთანის ტიტულს მიემატა ეპიტეტი „გაზი“, რაც თათრულ ენაზე ნიშნავს „დამპყრობელს.“

პირველი მაისი და მუშები.

სენის დეპარტამენტის მუშათა სინდიატების კავშირმა პირველ მაისობის შესახებ დაადგინა: არ მოხდეს არც მიტინგები და არც სახალხო მანიფესტაციები. მუშაობის შეწყვეტა სავალდებულო არ არის.

გერმანელთა კრეისერების მოქმედება.

გაზეთ „ტაიმს“-ში მოყვანილია გერმანელთა კრეისერების მოქმედება ომის განმავლობაში. როგორც ამ წერილიდან სჩანს, მტრისთვის ყველაზე დიდი ზარალი მიუყენებია „ემდენს“-ს. ამ კრეისერს ჩაუძირავს მოკავშირეთა 17 გემი 2,211,000 გირვ. სტერლინგათ ღირებული და დაუტყვევებია სამი გემი. დანარჩენ კრეისერთა მოქმედება ასეთია: „კარლსრუე“-მ ჩასძირა 17 გემი 1,662,000 გირ. სტერლ. ღირებული; „კრონპრინც-ვილჰელ“-მა—13 გემი, 1,165,000 გირ. ღირებული; „პრინც ეიტელ-ფრიდრიხმა“—11 გემი, 885,000 გირ. ღირებული; „კენიგსბერგ“-მა—1 გემი, 275,000 გირ. ღირებული; „დრეზდენ“-მა—3 გემი- 275,000 გირ. ღირებული; „ლეიპციგ“-მა—3 გემი, 235,000 გირ. ღირებული. მთელი ჯამი ზარალისა ასეთია: ჩაძირულია მოკავშირეთა 65 გემი 6.708.000 გირ. სტერლინმათ ღირებული, რაც ჩვენებურად უდრის დაახლოვებით 68 მილიონ მანეთს.

ბელგიის მთავრობის პროტესტი.

გერმანიამ ბელგიის ტერიტორიაში თანდათან შესცვალა ადგილობრივი წესი საქმის წარმოების სასამართლოებში და თავისი კანონები გაამეფა. ასეთი ზომები ძირიანად არღვევენ საერთშორისო კანონის მე-43 მუხლს. ამის გამო ბელგიის მთავრობამ ყველა სახელმწიფოებს გადასცა პროტესტი გერმანიის მოქმედების წინააღმდეგ. ბრიუსელის სასამართლოს ვექილთა მთელმა შემადგენლობამ 19 თებერვალს ამის შესახებ მსჯელობა იქონია და დაადგინა: „აღეკრძალოს ყველა ვექილებს სასამართლოებში გამოსვლა, ვიდრე ბელგიაში იარესებებს გერმანელთა წესი და ეს დადგენილება მოხსენდეს გერმანიის მთავრობასო“.

ომი და ევროპა.

ერთი „ადგილობრივი რუსული გაზეთი“ „ნიშნის მოგებით“ ამბობს:

.. „ომმა დაამსხვრია კლასობრივი განკერძოება და ადამიანებს პირველათ მიეცათ საშუალება, რომ ერთიმეორის გაიგონ, ერთიმეორეს მოუსმინონ და ერთათ იმოქმედონ..

ამას გარდა, ომმა ყველა მეცნიერულ-ფილოსოფიური დებულებანი, რაც მეცხრამეტე საუკუნეში ევროპამ შეჰქმნა, სულ ერთიანათ შეარყია: ეჭვი დაბადა ადამის ყველა რწმენანი გააქროს—გაანადგუროს“.

ერთი სიტყვით, ყველამ დაივიწყა თავისი კლასიური ინტერესები, უარყო წინანდელი მეცნიერულ-ფილოსოფიური შეხედულებანი და შეუდგა ხელაღებით ბრძოლას... მარა რისთვის ან ვისთვი'—არავინ უწყის.

სწორეთ ასეთივე აზრს ამოიკითხავთ გერმანული პრესიდანაც; ერთი გერმანული გაზეთი სწერს: „არაა საჭირო ომის

ნიკო ლომოურის ხსოვნას.

I.

გადავშალე მე გაზეთი
და შენ სურათს დავაჩერდი,
მაგრამ ჯვარი დავინახე,
ელდა შეცა და გავშტერდი!

როგორ, შენცა აღარ გვყავხარ?
შენც აიღე ჩვენზე ხელი?
არ გვეკმარა, რაც რომ სხვებზე
დავაქციეთ ცრემლი ცხელი?

და ჯერ ისევ ნიჭით სავსე
შენც ხელიდან წაგვიხვედი?
ოჰ დაიგმოს, დაიკრულოს
ჩვენი სვე და ჩვენი ბედი!

ეჰ! ვინ იცის, რაოდენი
თან წაიღე ფიქრი გულის?
ვინ გაზომოს სილრმე-განი
მაგ საუნჯის დაკარგულის?

ჩვენო ტკბილო მოქართულე,
საყვარელო ხალხის შვილო,
ხალხის გულში ღრმად ჩამწდომო,
მის წიაღში გამოზრდილო!

სიყრმიდანვე დასახული
გქონდა მიზნად ხალხის შველა,
შენი ნიჭი და ძალ-ღონე
მოახმარე იმას ყველა.

და ამიტომ შენი ხალხი
არასოდეს დაგივიწყებს,
ჩაიბეჭდავს გულში მტკიცედ
შენგან ნათქვამ ოქროს სიტყვებს.

მაღლობითა მოგიგონებს,
როს დახედავს თვის ყანასა,
და შკოლაში გაგზავნის
პაწაწინა „ქაჯანა“-სა.

პატარა გლეხს მიზნის გზაზე
ეფარფური შეაჩერებს,
იგი თავის ჭკვიან თვალებს
ცოდნის კანდელს მიაშტერებს.

მისი ნატვრა და სურვილი
უეჭველად ასრულდება,
შეისწავლის წერა-კითხვას
და ოჯახში დაბრუნდება.

მოიშორებს ჩარჩს და ვაჭარს,
ვაი მათი ცოდვის ბრალი!
და გონებით გახათლებულს
ვეღარაფერს უზამს „ალი“.

მაგრამ, ჩემო საყვარელო,
მე ამ ჟამად მაინც ვსტირი,
რომ აღარ ფეთქს შენი გული,
არ მოძრაობს ბაგე-პირი!

სამოთხეზე ტკბილი იყო
შენი ხალხთან საუბარი,
გასაგონად საამური,
ისე, როგორც მგოსნის ქნარი,

სიტყვა სიტყვას მოჰყვებოდა,
ვით ჩუხჩუხა ნაკადული,
სდევდა ერთი მეორესა
სურათები დახატული,

ვით ცისკარი ალიონზე,
ამ დროს ისე ბრწყინდებოდი,
და ბევრიც რომ გებაასნა,
გამგონეს არ სწყინდებოდი.

II.

მასწავლებელო! ჩვენს წარსულს
რომ გვაყვარებდი ძალზედა,
ფიქრებით გადავდიოდი
ჩვენს აწმყო მომავალზედა.

ვსცდილობდი დავმსგავსებოდი
შენგან დახატულ გმირებსა,
რომ რამეს გამოვდგომოდი
სამშობლოს ანატირებსა.

შენ იყავ ჩემი იმედი,
ზეცაში ამაფრენელი,
ბნელში გზის მაჩვენებელი,
სიამის შუქის მფენელი.

და თუმცა დაცილებული
ვიყავი შენგან მთებითა,
ჩემ გულსა ვგრძნობდი შენ გულთან
უხილავ შეერთებითა.

ძვირფასო მოგონებაო
სიცოცხლის გაზაფხულისა,
სიმების ამქელერებელო
ღრმად გულში ჩამარხულისა!

იმედიანი სიტყვებით
მიწვევდი სამოქმედოთა,
ძირს არ დამეშვა ალამი,
რაც უნდა გადამხედოდა.

გულში ამინთე ლამპარი
შენივე გულის ცეცხლითა,
არც ვინ მომცემდა თხოვნითა,
ვერც ვიყიდიდი ვერცხლითა.

ავაკიალე სინათლე
გაუბედავი ხელითა,
მაგრამ ჰა! წამოუბერა
ქარმა ცხოვრების ველითა.

ვეღარ მივიღე დალოცვა
და აღთქმა უკანასკნელი
და აჰა! დავალ მწუხარე,
მოწყენილი და თვალ-სველი!

სანამ ცოცხალ ვარ, იქნები
ჩემს თვალში იდეალათა,
შენდამი უსაზღვრო გრძნობამ
ჩემს გულში მოიკალათა.

მე შენისთანა სხვა კაცის
სოფლად არ ვიყავ მცნობელი,
რასაცა სიტყვით ამბობდი,
საქმითაც იყავ მყოფელი.

და ამისათვის შენს ხსოვნას
ავინთებ ვარსკვლავივითა
და გავინათებ სავალ გზას,
მისგან მოფენილ სხივითა.

სავლე აბულაძე.

საჭიროა განვაცხოვრებელთ.

1914 წლ. პირველი იგლისის კანონი

წარსული 1914 წლის, ივლისის პირველს რიცხვს, გამოიცა კანონი რუსეთის კერძო სასწავლებლებისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს არარუს ეროვნებათა მომავლისათვის. იგი ნებას აძლევს კერძო სასწავლებელთა დამფუძნებლებს მოწაფეთა სამშობლო ენაზე აწარმოონ სწავლა-განათლება და ამასთანავე მოუპოვონ კიდეც კურს-დამთავრებულთ ამ სასწავლებლებში იმისთანავე უფლება, რა უფლებაც ეძლევათ სახაზინო სასწავლებლის მოწაფეთა, უკეთუ მომზადება მ თი აკმაყოფილებს მართველობის პროგრამების მოთხოვნილებას და გამოცდასაც დაიჭერენ რუსულს ენაზე მთავრობის წარმომადგენელის თანადასწრებით ამ კანონით სავალდებულოა მხოლოდ ის, რომ რუსული ენა ასწავლონ კერძო სასწავლებელში და რუსულს ენაზე გეოგრაფია რუსეთისა, რუსეთის ისტორია და რუსული ლიტერატურა. ამათ გარდა სხვა რა საგნები უნდა ისწავლებოდეს, ამის უფლებაც დამფუძნებელთა აქვთ მინიჭებული.

რამდენად სასიკეთოა მოსწავლეთათვის, როდესაც ივინი სამშობლო ენის საშუალებით იწვრთნებიან გონებრივ დ და ზნეობრივად, ეს უკვე ცნობილია მრავალთათვის, მაგრამ ამ ჟამად, როდესაც ხსენებული კანონის ძალით შესაძლოა ამ ბეშმარიტების გატარება ცხოვრებაში, საჭიროდ მიმჩნია მოკლედ მაინც განვმარტო საგანი, რომ ფრთხილად, ცნობიერად მოვექცეთ მას მომავალს წლიურს კრებაზე მაისში.

ადამიანის სულიერი განვითარება უმთავრესად იმაზე არის დამოკიდებული, თუ რას იძენს იგი გარემოცული ბუნებისაგან და იმ პირთაგან, რომელნიც მას გარს არტყიან. შთაბეჭდილებანი ცხადნი, მოკლებულნი ბუნდოვანობას, აძლევენ მას წორ შეგნებას გარეშე საგნებზე და ამდიდრებენ მის სულიერ სალაროს საღის ცოდნითა, რომელიც არის საუკეთესო იარაღი ცხოვრების ველზე საბრძოლველად. სულიერ ძალთა მოქმედებაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ პირობებს, რომელთა შორის სწარმოებს შთაბეჭდილებათა გარდაცემა ადამიანის გონებაში. შთაბეჭდილებანი ელვის სისწრაფით იქცევიან ხოლმე შეგნებად, მაგრამ თუ იგნი მოკლებულნი არიან სიცხადეს და გაურკვეველნი არიან იმ პირისათვის, რომელიც ექვემდებარება მათს მოქმედებას, მაშინ შთაბეჭდილებათა გარდაქმნა შეგნებად ძნელდება ხოლმე, გვიანდება და იძლევა ბუნდოვანს ცნობას, სუსტად დამყარებულს ცოდნას. ამ შემთხვევაში აზროვნება ადამიანისა სწარმოებს სუსტად და გონებრივ-ზნეობრივი განვითარება მისი დაბრკოლებულია. რაგინდ ცხადი იყოს შთაბეჭდილება გარემოცულობისა, რაც უნდა თვალსაჩინო იყოს ყოველივე, რაიცა ჰქმნის ჩვენზე შთაბეჭდილებას,

ჰროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ!

გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის კანტორა ერთხელ კიდევ მიმართავს ჰროვინციის თავის ხელისმომწერლებს და მოაგონებს, რომ ეს მეოთხე თვეა, რაც მათ გაზეთი ეგზავნებათ და ბევრ მათგანს გაზეთის დასაკვეთი ფული სრულიად არ წარმოუდგენია. კანტორა უმორჩილესათ სთხოვს ხელისმომწერლებს ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში გამოგზავნონ გაზეთის დასაკვეთი ნახევარი წლის ხვედრი ფული და ამასთანავე აცნობონ კანტორას, თუ ვის რამდენი აქვს გამოგზავნილი „ახალი ივერიის“ სახელზე დეკემბერსა და იანვრის პირველ რიცხვებში გაზეთის დასაკვეთად.

თუ უკეთუ კანტორა აღნიშნულ დროში ან ფულს, ან ამ ცნობას არ მიიღებს, იძულებული იქნება ასეთ ხელისმომწერლებს გაზეთის გზავნა შეუწყვიტოს.

მიზნებზე ვილაპარაკოთ, საჭიროა მხოლოდ ბრძოლა, თორემ ჩვენს თეორეტიულ სჯა-ბაასს, კამათს მტერი ჩვენ სისუსტეთ ჩათვლის“...

ალბათ ასეთსავე სიბრძნეს ადგია ზემოხსენებული „ადგილობრივი რუსული გაზეთი“, როცა რუსეთის მოქალაქეთ ურჩევს: უარყავით ძველი თვალსაზრისი, კლასობრივი ინტერესები, ძველი რწმენა და იმედი და შეუდექით ბრძოლას.

„დიახ, ფილოსოფოსობას თავი დაანებეთ და ხელი ხმალს იკარით“! გაიძახის გერმანული გაზეთიც.

როგორც ხედავთ: თფილისელი და გერმანელი ჟურნალისტი ერთ კილოზე მღერიან! და ერთი შეხედვით, თუ დღევანდელ ომიანობის დროს პრესას და დეპეშათა სააგენტოებს დაუჯერებთ მართალიც არის! თითქო ყველაფერი ჩაკვდა: მუშათა მოძრაობა შეჩერდა, „შინაური ბრძოლა“ თითქმის შეწყდა, პარტიათა ბრძოლას ადგილი აღარ აქვს, მეცნიერებაში ერთგვარობა გამეფდა, ფილოსოფია ან სულ შორდება ამ ქვეყანას და „ახალ სარწმუნოებას“ ქმნის, ან და „ომის ფილოსოფიას“ ღეჭავს.

ევროპის პრესამ თითქო ერთხმათ გამოაცხადა: „ინტერნაციონალი“ გაჭკრა, „მარქსიზმი“ აღარ არსებობსო; დეპეშათა სააგენტოებმა გვამცნეს: წელს ევროპის მუშებს „პირველ მაისობა“ არ გაუმართავთ. ვითომ კლასთა შორის „სოლიდარობა“ ომის გამო არ დაარღვიესო.

ერთი სიტყვით, ამ ომმა თითქო ყველაფერი შეატრიალა, შეცვალა, თითქო ცხოვრება განაახლა, რევოლიუციონური როლი შეასრულა. მარა ყველაფერი ეს დროებითია და ეს ვადა ომის დროით განისაზღვრება: ვიდრე ომია, ცხოვრებაც ასე განახლებული დარჩება; მაგრამ, როგორც კი შეწყდება იგი, პირობებიც შეიცვლება ძირეულათ და ამას ცხოვრების ახალ კალაპოტში, ახალ ფარგლებში ჩაყენება მოყვება; ე. ი. დღევანდელ ომის დროებითი რევოლიუციას ნამდვილი ისტორიული რევოლიუცია უნდა მოყვეს. ასე ესმის ომის მნიშვნელობა და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე მის გავლენას ასე განგვიმარტავს ერთი თანამედროვე ცნობილი დიდი სოციოლოგი.

ჩვენ მომავალს ახლა არ ვეხებით, გვინდა მხოლოდ გავითვალისწინოთ, თუ რა ცვლილება შეიტანა ომმა მართლა ევროპის პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

დავიწყოთ ეკონომიკიდან. ამის ნათელ სურათს „თავისუფალ ვაჭრობა-მრეწველობის“ მაღიარებელი ძველი კაპიტალისტური სახელმწიფო, ბრიტანეთი წარმოგვიდგენს.

როგორც გაზეთი „ტაიმსი“ გადმოგვცემს დიდი ყოყმანის და თაობირის შემდეგ ინგლისის მთავრობამ სამხედრო მასალის წარმოების რეორგანიზაციის მოსახდენათ გაბედული ნაბიჯი გადადგა. მან ამ რეორგანიზაციის სახელმძღვანელოთ ახალი კომიტეტი შეადგინა, რომელსაც გადაეცა ყველა ის უფლებანი და ვალდებულებანი, რაც ამ საგნის შესახებ პარლამენტმა დღემდე შეიმუშავა. (კომიტეტში მუშათა წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, არ მიუწვევიათ, ცუმცა მათთან წინასწარი თათბირი კი ჰქონდათ გამართული). კომიტეტის დანიშნულება დიდია: არსებითათ ის დავალებულია, რომ მთელი სახელმწიფოს ყველა წარმოებითი ძალები გააწესრიგოს ისე, რომ სამხედრო მასალის წარმოება უფრო ნაყოფიერი გახდეს... მეორე მიზანი კი იმაშია, რომ წარმოებამ ფრთა გაშალოს მთელ მხარეში, რისთვისაც დაარსებულია ადგილობრივი კომიტეტები, რომლებიც წარმოების საშუალებათა და მუშა ხელის სტატისტიკურ მასალას აგროვებენ და მით ქვეყნის აწონილ-დაწონილ და შეთანხმებულ-შეხამებულ წარმოების შექმნას ხელს უწყობენ.

ინგლისზე ადრე ასეთ სისტემას საფრანგეთმა მიმართა ამ ომის დროს და ამის მნახველმა ინგლისის მინისტრმა ლოიდ-ჯორჯმა პირველათ მიაქცია ყურადღება სახელმწიფოს წარმოების ასეთ მიზანშეწონილებას და მისი ორგანიზაციის ცენტრალიზაციას. დღეს ინგლისიც ამ გზაზე შედგა, რასაკვირველია ომის გავლენით და როგორც უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო მაგალითსაც საგულისხმოს და ნაყოფიერს მოგვცემს.

პოლიტიკაში ინგლისი არც წინათ ეწეოდა ცხარე ბრძოლას და დღეს ხომ სულ მიმქრალია. ინგლისის კლასიკური ლიბერალიზმის წყალობით მუშათა პოლიტიკური ბრძოლა იქ მუდამ მოდუნებული იყო; რაც შეეხება სოციალურ სფეროს, აქ მუშათა კლასმა თუმცა ამ ომიანობის დროსაც წამოაყენა თავისი ეკონომიური მოთხოვნები და გაფიცვების გამართვას შეუდგა, მარა ინგლისის ლიბერალური მთავრობა მალე მოურიგდა მას და პირობა ჩამოართვა, რომ ვიდრე ომია, გაფიცვა არ გამართოს და ამით სამშობლოს არ ავნოს.

ნაციონალური კითხვა ინგლისმა „ირლანდიის ჰომრულით“ გადაჭრა და ამით მან პატარა ერებთან შეთანხმებული მოქმედება აღიარა, მაგრამ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ირლანდია ჰომრულით არ კმაყოფილდება და ახლა მეტსაც მოითხოვს, თუმცა ომმა მათ მისწრაფებასაც ფრთა შეაკვეცა: გერმანელნი, რომლებიც ირლანდიის აჯანყებას ცდილობენ, ჯერ-ჯერობით ვერას გახდენ.

ამნაირათ, ინგლისმა თითქო მიაღწია კლასთა და ერთა ურთი-ერთ შორის სოლიდარობას ამ ომიანობის დროს მაინც.

ასეთივე სოლიდარობის ტენდენცია გამეფდა ახლა არა მარტო ინგლისში, არამედ მთელ ევროპაშიაც. ამის ყველაზე უკეთეს, თვალსაჩინო მაგალითს საფრანგეთი და ბელგია გვიჩვენებს. არც ერთში და არც მეორეში დღეს კლასიურ ბრძოლას ვერ ვხედავთ: თითქო „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“, თითქო ყველა კლასები საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებულ იყვენ!

სამაგიეროთ კლასობრივი ბრძოლის ტენდენციას აშკარათ ვამჩნევთ მეომარ სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში: ავსტრიასა და გერმანიაში. ხშირათ გვესმის: ბერლინში რამდენიმე ათეულ ალაგას „საპროტესტო მიტინგი გიმართია“; ავსტრიის რამდენიმე ქალაქში „დემონსტრაციები გამართეს და ომისშეწყვეტას მოითხოვენო“. თუ ყველა ეს მოჭორილი არაა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ევროპაში „შინაური ბრძოლა“ სულაც არ შეჩერებულა, არ გამქრალა.

დ—ელი.

სამგლოვიარო წერილი

ღრმად შემაწუხა დამსახურებული ბელეტრისტისა, სახალხო მასწავლებელთა მასწავლებლისა და პატიოსანი მუშაკის ნიკო ლომოურის დაკარგვამ.

ვუცხადებ თანაგრძნობას მის დაობლებულ ოჯახს და მუხლს ვიყრი იმისი ცხედარის წინაშე.

სახალხო მასწავლებელი **ლადო ბზვანელი.**

——

ჩვენმა რედაქციამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ნიკო ლომოურის მეუღლეს ქ. გორს.

„სამშობლოს“ რედაქცია სტირის და გლოვობს საყვარელის მასწავლებლის და ქართლის სიამაყის ნიკოს უდროოდ დაკარგვის გამო.

ია ეკალაძე.

ღრმათ დამწუხრებული პირისუფალნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დასაფლავება,

მიცუშა ერისთავის

მოხდება შაბათს, 25 აპრილს, საფიჩხიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბძელიშვილის სახლიდან ბალახ. ქ. ნაშუადღევის 4 საათ

ახალი ამბავი.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 25 აპრილს.

✦ გუშინ ვწერდით ჩვენ გაზეთში, რომ ქალაქის სასკოლო კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა ქალაქის პირველდაწყებით სკოლებში მასწავლებლებს მოემატოს ჯამაგირები, რადგანაც ისინი დღევანდელი სიძვირისა გამო დიდ გაჭირვებას განიცდიან. ეს საკითხი დღეს უნდა გაარჩიოს ქალაქის გამგეობაში საფინანსო კომისიამ; იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კომისია, რომლის წევრებად განათლებული და შეგნებული პირები არიან, მიაქცევენ ყურადღებას მასწავლებელთა უკიდურეს მდგომარეობას და დაადასტურებს სასკოლო კომისიის დადგენილებას.

✦ **წელს, 20 აპრილს,** ქუთაისის მესამე უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში სწავლა დაამთავრა 14-მა მოწაფემ. მათი გვარები შემდეგია: შალვა ბახტაძე, გენადი ბელთაძე, კონსტანტინე ბრეგაძე, მიხეილ გძელიძე, გიორგი გიორგობიანი, ანდრია ჟულღვა, იონა ქარქაშაძე, დიმიტრი ლომთაძე, კონსტანტინე მაღლაფერიძე, ამ ბროსი მეტრეველი, აქვსენტი სვანაძე, აკაკი საგანელიძე, გიორგი შველიძე და გრიგოლ სალიძე.

✦ **21 და 22** აპრილს ქუთაისის ქუჩებსა და სავაჭროებში დადიოდა ერთი ჯგუფი მანდილოსნებისა ქალბ. ხორავას მეთაურობით და ჰკრებდენ ფულს დაჭრილი ჯარისკაცების სასარგებლოდ. საზოგადოებამ არ იცის ვისი თაობით იყვენ გამოგზავნილი ეს მანდილოსნები. კარგი იქნება შემდეგში ფულის აკრეფნი წარმოადგენდენ ხოლმე მოწმობას, ან გვიჩვენებდენ იმ დაწესებულებას, რომელიც მათ აგზავნის. უამისოდ ხალხს ეეჭვი ებადება, ვაი თუ მოგროვილი ფული დანიშნულებას ვერ აღწევსო.

✦ დღეს ქალაქის ბაღში გაიმართება **საჯარო სეირნობა.** ქართველ მსახიობთა ფონდის გასაძლიერებლად შემუშავებული ორიგინალური პროგრამა. დიასახლისათ მოწვეულია ქ-ნი ვარ. მაჭავარიანისა.

✦ როგორც ნოვგოროდიდან გვწერენ, იქაურ სააგათმყოფოში წევს მსუბუქათ დაჭრილი მარცხენა ფეხში სოფ. ხერსილის მცხოვრები მელიტონ იობისძე ობოლაძე.

✦ ქუთაისის გუბერნატორს ნამესტნიკის კანცელარიიდან ცნობა მიუვიდა, რომ უმაღლეს მთავრობას დაუდგენია, ქუთაისის გუბერნიაში კერძო სააგათმყოფოებს ჯარის-კაცების მოვლისათვის დღე და ღამეში 88 კაპიკი მისცეს დასამარხათ კი 7 მ. და 21 კაპ.

✦ შაბათს, **25** აპრილს, საღამოს 5 საათზე ქალთა საზოგადოების სახელო ნოსკოლის დარბაზში შედგება ჯარის-კაცთა ბავშვებისათვის უფასო სასადილოს მომწყობ კომისიის კრება. კრებამ უნდა შეადგინოს ჯარში გაწვეულთა ბავშვების სიები, რომელიც ბ. გუბერნატორს უნდა წარედგინოს.

✦ ქ. შ. წ.-კ. გამ. საზოგადოებამ ქუთაისის გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა, რათა ნება დართოს სოფ. ოფურჩხეთში (ქუთაისის მაზრა) გახსნას უფასო წიგნსაკავ-სამკითხველო.

✦ ამ დღეებში თფილისიდან ჩამოვა სამოსამართლო პალატის სესია, რომელიც 10 მაისამდის დარჩება.

✦ დრამატიული საზოგადოების წლიური კრება მაისის შუა რიცხვებამდის არ შესდგება.

✦ ებრაელების ქუჩაში დიდი უსუფთაობაა. გუშინ, 22 აპრილს, ამ უბანში ჩამოიარა სანიტარულმა კომისიამ და ბევრს ოქმები შეუყენა.

✦ ჰიათურის შავიქვის საბჭოს მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის გამგეობამ ომისაგან დაზარალებულ აჭარლების სასარგებლოთ გადასდვა 500 მანეთი.

✦ დღეს, 23 აპრილს, ს. მიქელ-გაბრიელში (ოზურგეთის მაზრა) იმართება აკაკის საღამო განსაკუთრებული პროგრამით. საღამოს შემოსავლის ერთი მესამედი გადაეცემა ჯარში გაწვეულთა ოჯახებს, დანარჩენი კი მოხმარდება ადგილობრივ სამკითხველოებს.

✦ ქუთაისის გუბერნიის დამშეულ მცხოვრებთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტმა ბ. გუბერნატორს ხელ-ახლა სთხოვა გლეხებს საჩქაროთ მიაწოდონ სათესლე სიმინდი.

✦ როგორც ვწერდით ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში გამოცდები უკვე დამთავრდა. მოგვყავს სახელი და გვარი სწავლა დამთავრებულ ქალებისა.

მეშვიდე კლასი.

ათანასიევი ანნა, ამირაჯიბი ელენე, აქსენტიევი ანტონინა, ბორდესი კლარა, გაჩეჩილაძე ნინო (ვერცხლის ჯვრით), გოგიჩაიშვილი ნინო, გრიგორაშვილი მარგალიტა, გუნცაძე ელენე, გურგენიძე მარიამი (ვერცხლის ჯვრით), ებანოიძე მარიამი, იაშვილი ელენე, იოსელიანი ელენე, კალანდაძე ნინო, კარტოზია თამარი, კობალაძე მავრა (ოქროს ჯვრით), კუპრაშვილი თამარი, ლორია ელენე, მამულაიშვილი მარიამი, მგალობლიშვილი ნატალია, მიქაბერიძე ბარბალე, მიქაძე ნატალია, მოსეშვილი ელისაბედი, ოკუჯავა მარიამი, პოპოვი მარიამი (ოქროს ჯვრით), საეტი ევგენია, სანაძე ლიუბა, საყვარელიძე მარიამი, სვანაძე იულია, სვანაძე სერაფიმი, სვანიძე ნადეჟდა, ტყეშელაშვილი ნინო, ტყეშელაშვილი სოფიო (ვერცხლის ჯვრით), ქებაძე პელაგია, ღოღობერიძე მარიამი, ყიფიანი მარგალიტა, შახბაგოვი მარიამი (ოქროს ჯვრით), შენგელია ელენე (ვერცხლის ჯვრით), შენგელია ნინო, ჩაჩიბაია ელენე (ოქროს ჯვრით), ხვედელიძე ნინო, ჯაკობია ქრისტინე, ჯანელიძე ელენე, ჯაფარიძე თამარი.

მერვე კლასი.

აშჩიანცი ვარსენიკა, გაბუნია ბარბარე, გველესიანი თინათინი, გეგიძე მარიამი, გორგაძე ანნა, დოლაბერიძე ოლიმპიადა, ეზიკოვი მარგალიტა—ნინო, ერაძე თეოდოსია, ერქომაიშვილი ელენე, ერქომაიშვილი ოლღა, იმნაიშვილი ელისაბედი, კვინიკაძე კალერია, კვინიკაძე ლუბა, კობახიძე ბარბარე, ლორთქიფანიძე სალომე, მაჭავარიანი მარიამი, მაღრაძე მარიამი, მეძმარიაშვილი ნადეჟდა, პაშიკოვი ელენე, საყვარელიძე თამარი, სვანაძე ნინო, ტაბატაძე მარიამი, თოფურია თამარი, თოფურიძე ოლღა, თურქია ეკატერინე, ხაბურზანია მარიამი, ხვადაგიანი ელისაბედი, ცაგურია მარიამი, ცომაია მარიამი, ყაჭეიშვილი მარიანი, ჩაჩიბაია ტატიანა, ჩიკვაიძე ბარბალე, ჩილინგაროვი თამარი, წერეთელი მარიამი

✦ ვაგონების გამნაწილებელმა კომისიამ 22-დან 29 აპრილამდე ქუთაისის ვაგზლებს სანოვაგის შემოსატანათ, გაუნაწილა სულ 36 ვაგონი. აქედან ფქვილისათვის მისცეს მ. მოშაიშვილს 8 ვაგონი, ორ-ორი ვაგონი: ძმ. დომაძეს, ა. ვაჩაძეს, რ. კაკიტელაშვილს, მ. კაკიტელაშვილს, მ. რუხაძეს, და თითო ვაგონი: ფიდ. ზედიძეს და მ. ფიჩხაძეს. შაქრისათვის: თითო ვაგონი: გოკიელიას შვილებს, ნ. ჯანელიძეს და მ. ფიჩხაძეს, ნავთისათვის თითო ვაგონი: ნ. ჯანელიძეს და ეგ. ნარსიას. სიმინდისათვის თითო ვაგონი: მ. რუხაძეს, გ. ადეიშვილს და რ. სარქისოვს. ქატოსათვის თითო ვაგონი: რ. ელუაშვილს და რ. სარქისოვს, აგრეთვე სხვადასხვა სანაკლეინო ნივთების შემოსატანათ თითო ვაგონი მისცეს ნ. ჯანელიძეს, ლ. კიკვაძეს და ი. ავსარქისოვს.

თფილისი.

თფილისის ლომბარდის გამგის ბ. კაფიევის წინადადებით ქალაქის გამგეობამ გამოიყიდა ლომბარდში დაგირავებული კ. მესხის ძვირფასი ნივთები, რომელიც მას იუბილის დროს სხვადასხვა პირთა და დაწესებულებებიდან მიიღო. ქალაქის გამგეობამ დაადგინა განსვენებული მსახიობის ნივთები ქართული თეატრის მუზეუმს გადაეცეს.

— ვენახის წამლობა. რადგანაც ვენახის წამლები შაბიამანი და გოგირდი ძნელი საშოვარი გახდა და მასთან თუ ვინმემ იშოვა 4 მან. ნაცვლათ 28 მანეთამდი ახდევინებენ ჩარჩი ვაჭრები, ამიტომ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ კავკასიის სამხედრო უწყების წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ვისაც აღმოაჩნდება ხსენებული წამლები, მთავრობამ იძულებით ჩამოართვას (რეკვიზიციაუყოს) და მევენახეებს დაწესებულ ნიხრზე მიჰყიდოს. საზოგადოება მოუწოდებს ყველას, აცნობონ მას ვისაც აქვს შაბიამანი და გოგირდი და ნიხრს ზევით ყიდის.

ქართვ. შორის წერა-კითხ. საზ. ქუთ. განყ. 3 მაისს განზრახულ სეირნობისათვის შემოსწირეს:

მარიამ იაკობის ასულმა გოგიელისამ,—ფერადებით მოქარგული ტიღოს პირსახოცი. მანვე მოაგროვა—ანნა იაკობის ასულის მესარკოვისაგან,—1 მოქსოვილი სასუხრეზედ გადასაფარებელი სადფეტკი, 1 მოქარგული ბალიშის საპირე—მარიამ სტეფანეს წულის მეფისაშვილის ასულისაგან, ეკატერინე იაკობის ასულის ბუდაგოვსკისაგან ერთი ტიღოს პირსახოცი, გონიერის მშვიდრო მეგრეულებით ნაკერი, როზა იაკობის ასულის ბაჟიოდლისაგან—ერთი კონგრესზე ფერადებით ნაკერი დიენის გადასაფარებელი სადფეტკი, მარიამ სტეფანეს ასულის მეფისაშვილის ასულისაგან ერთი მოქარგული ბატარა სამე.

ქალაქის ათოიანქისაგან ბინმა მხეიძემ ორი

შუშა ოდენდობა, 3 კოლოფი ბინდის ბარაშოკი, 3 ბინდის ჩოთქი, 3 ნაჯერი სპირტი და 2 კედლის ტერმომეტრი, სოფიო ფორტუნატის ასულმა კოკორაშვილისამ—1 ატლასის მოქარგული საშუ, 14 ნაჯერი სპირტი, 8 შუშა დუხი, 6 კოლოფი ბინდის სიფერი ფუხვნილი, 6 კედლის ტერმომეტი, 2 კოლოფი სახურავი თაფის სპირტით და რამოდენიმე კალენდარი.

აკაკის სალამო ხაშურში.

ხუთშაბათს, 16 აპრილს, ხაშურის ქართ. დრამატ. წრის მიერ საკუთარ დარბაზში (ვ. ჯაფარაშვილის შენობაში) გამართული იქნა აკაკის სალამო, რომელიც შესდგებოდა ხუთი განყოფილებისაგან.

სალამოს დაწყებისთანავე, ხაშურის სცენის მოყვარეთა თავჯდომარემ კ. ძნელაძემ წინადადება მისცა ხალხს, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ ჩვენი დიდებულ მგოსნის ხსოვნისათვის. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. შემდეგ ხაშურის გიმნაზიის დირექტორმა ბ. ა. ვ. მდივანმა წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: „აკაკის მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურაში“. ლექციამ მსმენელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ლექტორი მხურვალე ტაშისა და ვაშას ძახილით დაჯილდოვეს. მეორე განყოფილებაში სცენა საგულისხმო სანახაობას წარმოადგენდა: სცენის შუა გულში ყვავილებით მორთული აკაკის სურათი იყო დადგმული, რომელიც აკაკის სალამოსათვის დახატა ხაშურის გიმნაზიის მოწაფეს ა. ციცქიშვილს. სურათის მარჯვნივ და მარცხნივ ყვავილებით ხელში მოწაფეები იდგნენ და რიგრიგათ ჰკითხულობდნენ აკაკის ლექსებს.

მათ შორის კარგათ წაიკითხა ლექსი „ავათმყოფი“ ივ. კვალიაშვილმა, „ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ“-მ. აბაიაძემ და შიო მღვიმელის ლექსი თ. ცქიტიშვილმა.

მესამე განყოფილებაში ხაშურის სცენის მოყვარეებმა წაიკითხეს აკაკის ლექსები. კარგათ და მოხდენილად წაიკითხა აკაკის უკანასკნელი ლექსი „ჩემი რწმენა“ დ. ძნელაძემ, „მუშის ნატვრა“—დ. სხილაძემ შესაფერ ტანისამოსში, „ქუციქუცი მურია“—ქ. თ. აფხაზიშვილისამ. აგრეთვე აღსანიშნავათ წაიკითხა ხაშურის მეექვსე კლასის მოწაფემ დ. თევზაძემ ლექსი „ჭალარა“. ბ. ი. ყაჟიშვილმა წაიკითხა საკუთარი ლექსი, რომელსაც ეძღვნის აკაკის ხსოვნას, სათაურად „არა, არ ვსტირი“.

დამსახურებულ სცენის მოყვარემ ნ. სიხარულიძემ წაიკითხა „მეჩონგურე“ აკაკისა და დამსწრე საზოგადოება ბევრი აცინა. მეოთხე განყოფილებაში ვ. ხოზბერაშვილის ლოტბარობით, ხაშურის გიმნაზიის მოწაფეებმა პროფესიანალურ სკოლის ქალთა დახმარებით, შეასრულეს რამოდენიმე ქართ. სიმღერები, როგორც მაგ. „სამშობლო“, „აყვავებულა მდელო“ „ნანა“ „ცანგალა და გოგონა“ და სხ.

დიდი მადლობის ღირსია ბ. ვ. ხოზბერაშვილი თავის უანგარო შრომისათვის.

დასასრულს სცენის მოყვარეებმა ითამაშეს აკაკის მხიარული კომ. „ბუტიაობა“, რამაც ცოტა მკრთალად ჩაიარა. ეტყობოდათ როლების უცოდინარობა. სალამოს ხალხი დიდძალი დაესწრო.

ფრთოსანი.

პატარა ფელეტონი.

ვეინებერგისებური.

(ბუძგნი საშას).

ადამიანი ვარ.

მწარე ხვედრმა, სიცოცხლის მძიმე ტვირთმა თანდათან ულმობლათ წამართვა ადამიანის წმინდათა-წმინდა—ბედნიერება...

სული ჩემი ტანჯვით გაიღღინთა, გული ჩემი მწარე სევდით დაისერა...

უძირო **ზღვას** გავუზიარე ჩემი ღრმა ტანჯვა,

— მან მრისხანე ღელვა შესწყვიტა, ტალღები დაამშვიდა და ნაპირს აქეთ ნაზად გადმომსწვდა, მომეალერსა...

თავისუფალ **ქარს** შევსჩივლე, თუ როგორ მეხუთება სული დედამიწაზე,

— მან საარაკო ქვეყნიდგან ნელი, გრილი ნიავი მომაგება და სული ამომათქმევინა...

ამაყათ ამართულ **ხეებს** ვუამბე ჩემი სევდა—წუხილი,

— მათ ნელი შრიალით საუცხოვო ჩრდილში ნანა მითხრეს, მომასვენეს...

მხურვალე **მზეს** ავუხსენი, თუ როგორ გამშორდა თვალთაგან სინათლე და სიბნელემ დამიმონა, დამაუძლურა,

— მან მოკლვარე, სიცოცხლის მყოფელი სხივები მომაწვდინა, გამათბო, გამინათა. .

ბუნების გვირგვინს—**ადამიანს** გადვუშალე ჩემი ცხოვრების ეკლიანი გზა,

— მან რაღაც გაუგებრათ მხრები აიჩეჩა, სახეზე უყურადღებობა დაეტყო და აჩქარებით გამშორდა...

გოგი

ს. ცაიშის მინერალური წყალი.

ზუგდიდიდან ათ ვერსზე, სამხრეთ დასავლეთით მდებარეობს ს. ცაიში, რომელსაც შუა ყოფს მდინ. ჯუმი. ამ მდინარის ორივე ნაპირი წარმოადგენს მთა გორიან ადგილს, რომელიც დაფენილია დაფნის ბუჩქებით. ეს უკანასკნელი ერთად-ერთი წყაროა ცაიშელების მატერიალურად წინ წაწევისა. ცაიში შესანიშნავია აგრეთვე თავისი მინერალური წყლებით, რომელიც გამომდინარეობს მთა გორაკიდან.

ხსენებული სამკურნალო წყლით უხსოვარ დროიდან იკურნებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი როგორც ქართველებიდან, აგრეთვე სხვა ავათმყოფობიდან. ის ადგილი, სადაც ამოდის სამკურნალო წყალი, დაფენილია ერთგვარი უცხო ხეებით, რომელიც იმ ახლო მახლო აღარ იზრდება და რომელსაც „ძირქვას“ ეძახიან.

1905 წელს პროვიზორი ი. მეუნარგიას მიერ ამ წყაროდან წყალი წაღებული იქნა მოსკოვში და იქ სამეურნეო—საოჯახო ინსტიტუტის ანალიტიკმა ივანოვმა წყლის შემადგენელი ნაწილები გამოიკვლია. გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს წყალი თავისი ქიმიური შემადგენელი ნაწილებით ახლო დგას პიატიგორსკის თბილ გოგირდ წყლებთან № 1 და ესენტუკის, ექიმ გაბის.

1913 წელს 12 ნოემბერს კავკასიის სამკურნალო სამართველოდან მოსთხოვეს მაზრის ექიმს ცაიშის მინერ. წყლის ნიმუში საცდელად, რომელიც უკვე გაეგზავნა ხსენებული სამართველოს. ლაბორატორიაში წყალი ქიმიურად გამოიკვლიეს და ოქმი ამის შესახებ გამოუგზავნეს ზუგდიდის მაზრის ექიმს ბ. მუდჯირს 1914 წ. 5 მარტს.

ცაიშის წყლების ერთი ლიტრა წყალში: სითბო 24° რ,: სუნი აქვს ლაყე კვერცხისა, რადგან ურევია გოგირდ-წყალბადის გაზი; რეაქცია სუსტუტე (слабощелочная).

კალი K.	0,1696	გრამი
ნატრი Na	0,68083	„
(окись) მეავ კალიცს CaO	0,0697	„
„ „ მაგნის MgO .	0,0249	„
ქლორი Cl	1,2073	„
ბრომი B	ცოტა	„
იოდი J	0,00016	„
გოგირდის სიმჟავე IO_3 .	0,0450	„
ნახშირიმჟავე (შეერთ.) Co_2	0,0574	„
კაჟმინის სიმჟავე	0,0271	„
	2,281.99	გრ.

ნახშირ-მჟავე ნახევარ შეერთებული H_2CO_3	0,0808	გრამი
გოგირდ წყალბადე გაგზავნილ გამოსაკვლევად წყალში . .	0,0045	გრამი
მაგარი ნაშტი, გაშრობილი 120°C	2,38	„
დაიკარგა გახურების დროს	0,04	„

დასამჟავებლად ორგანიული ნივთიერებისა მოხმარდა მარგანეცის სიმჟავე $KMNO_4$ . . . . . 0,05 მილი გრამი.

ცაიშის მინერალური წყლები თავისი ქიმიური შემადგენელ ნივთიერებით უდრის იმისთანა მარილ-გახსნილ წყალს, ერთი ლიტრა რომელიც შეიცავს:

ქლორის კალი KCl . . .	0,3261	გრამი
„ ნატრი NaCl . . .	1,7316	„
ბრომის ნატრი NaB . . .	ცოტა	
იოდის ნატრი NaJ . . .	0,00019	„
გოგირ.-მჟ. კალ. $CaSo_4$.	0,0765	„
ნახშირ-მჟ. კალცი $CaCo_3$.	0,0682	„
ნახშირ-მჟ. მაგნი $MgCo_3$.	0,0533	„
კაჟ მინა Sio^2	0,0271	„
	2,8199	გრ.

ნახშირ-მჟავე ნახევარ შეერთებული (пол. св.) H_2Co_3	0,0808	გრამი
გოგირდ წყალ-ბადე N_2S	0,0055	„

ზემოხსენებული ქიმიური ანალიზის საფუძველით ცაიშის მინერალური წყალი ეკუთვნის გოგირდ-ტუტეს წყლებს, რომელსაც უფრო მეტი ქლორის მარილი ურევია.

ცაიშის მინერალური გოგირდ-ტუტე წყლები უხდება შემდეგ ავათმყოფებს:

1. დურბლის ქარებს, 2. ვენერიული ავთმყ. 3. კანის ავათმყოფობას, 4. კუჰისა და წელების ანთებას, 5. ნერვების სისუსტეს, საყმაწვილოს; 6. ქალთა ავათმყოფობას და სხვა...

ალე.

დაბა-სოფელი.

სოფ. წყალტუბო. 12 აპრილს წყალტუბოს მინერალურ წყლებზე არსებულ მხცოვან მგოსნის „აკაკის“ სახელობის წიგნსაცავ-სამკითხველოში გამართულ იქნა სალიტერატურო-გიმნასტიკური სალამო „აკაკისა“. სალამოს ექვს-განყოფილებიანი იყო: პირველ განყოფილებას შეადგენდა სხვადასხვა გიმნასტიკური ვარჯიშობა წყალტუბოს მინერალურ წყლების მინდორზე ადგილობრივ სახალხო სკოლის პატარა ¦მოსწავლეებისა მასწავლებლის ხელმძღვანელობით, II-გან—სამი ლექცია წაიკითხა ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებელმა ბ. ციპურიამ „აკაკის ბავშობის ხანა, მოგონება და მისი მოღვაწეობა.

ლექციამ დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. III და IV-ხე განყოფილებაში ბავშებმა წაიკითხეს აკაკის რჩეული ლექსები და შეასრულეს რამდენიმე სიმღერა: „სულიკო“ „გაზაფხული“ (დღეს მერცხალი შემოფრინდა) და სხვა. V განყოფილებაში ლექცია წაიკითხეს ბ. ის. ბოჭორიშვილმა იმავე სათაურით, როგორიც ბ. ციპურიამ და ალექსანდრე იოსელიანმა. დასასრულ ნაჩვენები იყო ცოცხალი სურათი „ანგელოზისა“. სალამო დასრულდა ვ. ბალანჩივაძის მხიარული ყოდევილით „უბედური დღე“, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ადგილობრივ არსებულ სკენის მოყვარეთა დასი. წარმოდგენამ მოლოდინს გადააჭარბა, ყველა კარგათ თამაშობდა თავ-თავის როლს, მაგრამ კარგი იყო „გოგიას“ როლში ა. იოსელიანი და „მატრონას“ როლში ფაჩუ იოსელიანის ასული. სალამო ძლიერ ვრცელ პროგრამიანი, შინაარსიანი იყო, საზოგადოებას გარშემო სოფლის გლეხობა შეადგენდა. ყველანი ნასიამოვნები დაიშალენ. მადლობის ღირსია ბ. ის. ბოჭორიშვილი და ამხანაგი მისი ქალი მასწავლებელი ელ. ლორთქიფანიძის ასული, ბავშების მომზადებისათვის, მაგრამ ძლიერ კარგი იქნებოდა ბ. მას. ისიდორე ბოჭორიშვილს თავის შედგენილი პროგრამა შეემოკლებია. მათთან მადლობის ღირსია მღვ. ბლაღოჩინი იუსტინე ფანცხავა ხელის შეწყობისათვის და მათთან ყველა ის, ვინც ამ სალამოს მოწყობაში მონაწილეობას ხელი შეუწყო. ასე თუ ისე, ცოტათ თუ ბევრათ, ეს ორი წელიწადია, რაც სოფელ წყალტუბოს მცხოვრებლებს გამოფხიზლება ეტყობა ადგილობრივ მცირე ინტელიგენციის დახმარებით.

ვუსურვებთ მომავალში მეტი ენერგია გამოეჩინოსთ.

ოტია იოსელიანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის „სამშობლოს“ სამუალებით ბუგუდითადესი მადლობა გამოუცხადო ყველა იმ პირთ, რომლებმაც არ დაიშურეს თავისი წვლილი და ფული თუ სხვა ნივთების შემოწირვით დახმარება აღმოუჩინეს ს. ლესის (გურია) უფასო წიგნთ-საც.-სამკითხველოს. ქალბატონ ოდდა ანდრიას ასულმა გიგინეიშვილისამ შემოსწირა საწერელი დირებული 3 მ. ბ. ივანე კიდაძემ—გრიგოლ ორბელიანის სურათი და უსასყიდლოთ შლაკატების (განცხადებების) დასტამბვა, სამსონ კიდაძემ და ალექსანდრე ბეჟნიამ—ორ-ორი მანეთი.

ლესის წიგნთ ს.-სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით **მარიამ სალუქვაძე.**

——

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის „სამშობლოს“ სამუალებით მასუხი გავცე „ოსანამედროვე ამბის“ მე-33 ნომერში მოთავსებულ წერილზე ალექსანდრე ენიას, რომელიც სხვათა შორის მაბრალებს 30 მან. მითვისებას ვითომც კამატანა და მე არ გადავეცი ბან მახარაძეს და სამედიატორო სასამართლოშიც მიწვევს.*)

მე არ მსურდა ენიას საქმეების გამოქვეყნება რადგანაც იმედის ძაფი დამრჩენოდა მისი კასწორებისა, მაგრამ, ახლა იძულებული გამხადა გავაცნო მკითხველებს მისი ვიანობა და მიზეზები მისი წერილისა, ვინაიდან გაზ. „ამბის“ მკითხველებს და სხვებს შესაძლოა მართალი ეგონოსთ ალექსანდრე ენიას წერილი.

ალ. ენია მოიყვანა ჩემთან ბ. მელაძემ წასული წლის ნოემბერში და ეველა ვცდილობ დით დახმარება ამოგვიჩინა, როგორც არაფერის მქონესთვის და (ბაეშისთვის) მეც ჩემი ვალი შევასრულე და მივეცი უფასოთ საცხოვრებელი ბინა, ის მუდამ დღე სჩიოდა, ვითომც მას სდევნიდენ სხვა გაზეთების დამტარებელნი; რის წინააღმდეგაც მე ეოველი ღონის ძიება ვიხმარე.

8 მარტს 1915 წელს მე გავხსენი დ. ენგრილაში კიოსკი „ესპერო“ ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით, სადაც დავაყენე გაზეთების და ჟურნალების დამტარებლად ალ. ენია, კასაც მას“ ებარა კანტორისა, 15 მარტს მე წავედი ქ. თბილისში ჟურნალ-გაზეთების დასაკვეთად და მოვთხოვე ანგარიში, მაგრამ უკანასკნელმა მარტო 15 მან. ჩამაბარა, რადგანაც მე დრო არ მქონდა (მატარებელი გამოსული იყო) კასა ვერ გავსინჯე და ისე გავემგზავრე თბილისში. თბილისში აღმოჩდა, რომ ხსენებული ალ. ენიას ბ. მახარაძისთვის შეუკვამია 43 მან. 45½ კ. (ანგარ. № 38.—14 მარტისა). ენგრილაში რომ დაბრუნდი ადარ აღმოჩნა კასაში ჟურნალ-გაზეთების ფული 22 მან. 78 კაპ. შევეკითხე ენიას და ბსსუხათ მითხრა, რომ დედას გაუგზავნე სამტრედიაშიო და დამწერეო, მეც დავთანხმდი, მაგრამ, ჩემ სასუბედუროთ; ტყვილად კიდევ 29, 30, 31 მარტის ნავაჭრი ფულები არას გზით არ ჩამაბარა; თქვა რომ დედა მეავს აქ და მას უნდა გავატანოო და ასეც გაამართლა, მაშინვე მოუხმე ბ. მელაძეს და ნესტორ ქუთათელაძეს, მათი დასწრებით გავსინჯეთ კასა და ადარ ამოჩდა წვრილმანი 4 მ. 37 კაპ. და გაზეთების 2 მან. 70 კ. სულ გაუფლანგავს 45 მან. და 45 კ., რომლის მითვისებას დათანხმდა და დაბრუნებაზე კი უარი განაცხადა, ამისათვის მე დავითხოვე ა. ენია 8 აპრილს 1915 წ.

9 აპრილს ჩაბძანებულა ქ. ქუთაისში და ჩემი სახელით ბ-ნ კვიტარიძისთვის გამოუტანია ყურნალ გაზეთები 5 მ. 73 კ., რომელსაც დაუწეო ეიდვა დ ეკვირილაში. გამოჩნდა კიდევ, რომ „სამშობლოს“ რედაქციისთვის შეუკვამია დაახლოებით 27 მანეთი*) (950+340 ცალი გაზეთების) ახლა ძველ დარჩენილ გაზეთებს ვაჭრებზე ეიდის ქაღალდათ. 14 აპრილს დახვდა მატარებელს № 3 და ჩემს სახელზე მოხული გაზეთები „სამშობლო“ მოიტანა და ბაზარში ეიდა, სადაც მე მივუსწარი 19 ცალიდა ჩამოვაროვი, ამ გაზეთების მოტანებისაც გამოტუდა, მაგრამ სარგებელი არ კეთდა. აი როგორი უმაწვილი ბძანდება ალ. ენია.

ამისთანა აგენტებმა კაფუჭეს საქმე და ახლა პატიოსან ხალხსაც კი ნდობა აღარ აქვს, ამისთანა აგენტები აგდებს ვალში კანტორის უმფროსებს და მით იძულებული ხდებიან საქმეს თავი მიანებონ, დროა მოისპოს ასეთი მძარცველობა.

ახლა ეს უსირცხვილო სამედიატორე სამართლში მიწვევს; მე ძალიან მიხარია, რადგანაც ნება მექნება სიმართლის გამორკვევისა და ვანდობ კარჩევას 1. ვ. იგნატიევს, 2. ნესტორ ქუთათელაძეს, 3. ბ. მელაძე და 4. გ. კიკნაველიძეს.

გარჩევის დროს წამოგადგენ მრავალ დასმტკიცებელ სასუბუებს.**)

კოლა მაგიძე.

*) მართალია, ყვნიაზე ითვლება ჩვენი ფული 27 მანეთამდე.

**) კარგი იქნება რედაქციებმაც ვიღონოთ რამე და მოვაწყოთ საერთო აგენტურა, თორემ ჩვენი შრომა და ჯაფა თითქმის ტყვილად იხარჯება.

რედ.

*) პასუხი ზევით მოხსენებული წერილზე გაგზავნილი იყო მაშინვე „თანამედროვე ამბის“ რედაქციაში, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ფიქმდი არ დაუბეჭდიათ.

რედ.-გამომც. ი. თ. ციცაძე.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. ბ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. კარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

ძველ იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. მკოლებ. ყდით . 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 ᲒᲔ.

რუსული ᲓᲔ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ᲤᲐᲡᲘ 60 ᲙᲐᲞ. Წ.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ 1915 Წ. ᲥᲝᲚᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ, ᲡᲐᲮᲔ. ᲚᲝᲒᲕᲜᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ᲩᲕᲔᲣᲚᲒᲑᲠᲘᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲘᲕ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲝᲡ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ ᲤᲐᲡᲘ: ᲬᲚᲘᲗ 5 მან., ნახევარი ᲬᲚᲘᲗ 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲢᲐᲜᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ: ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ᲮᲔᲚᲘᲡᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ: რედაქციაში („სოლაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ᲪᲝᲮᲚᲘᲡ“ წიგნთსაცავში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲗ ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲝᲡ ᲘᲝᲡ. ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ. ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა